ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №972601

ნომერი: AR1168143

თარიღი : 10.10.2013

გაცემის თარიღი : 31.10.2013

გაცნობის თარიღი : 31.10.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2013 წლის 10 ოქტომბრის # AR1168143 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 26.08.2013 წლის #845150 ბრძანებაში ცლილების შეტანას, კერძოდ: საპროექტო ობიექტის “A”, “B” და “C” ბლოკების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ინდივიდუალურად განსაზღვრას.

პასუხად გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად შენობა-ნაგებობების კომპლექსის დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ობიექტ(ებ)ი, რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებლად მომუშავე საძირკვლის კონსტრუქციული სისტემა და რომელთა მშენებლობაც დასრულებულია სანებართვო პირობების შესაბამისად, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ექსპლუატაციაში დამოუკიდებლად. ამდენად, შეთანხმებული პროექტში ცვლილების შეტანა და საპროექტო ობიექტის ბლოკებად დაყოფა შესაძლებელი იქნება თუ საპროექტო შენობას გააჩნია ორი დამოუკიდებელი საძირკველი და არ აქვს კონსტრუქციული ბმა.

ამასთან, თქვენი განაცხადი სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანის ველში არასწორად იქნა რეგისტრირებული. საპროექტო ობიექტის ბლოკებად დაყოფა საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას, რისთვისაც განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული განაცხადების ველში აირჩიეთ „მშენებლობის ნებართვა“, აირჩიოთ შესაბამისი ფუნქციის ობიექტი, შეავსეთ საპროექტო ობიექტის პარამეტრების განმსაზღვრელი გრაფები, ქმედებების ჩამონათვალში აირჩიეთ „შეთანხმებული პროექტის ცვლილება“ და მონიშნეთ თქვენთვის სასურველი სტადია, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge